გალტ & თაგარტი
ვქმნით შესაძლებლობებს

ღვინის სექტორი საქართველოში

სექტემბერი 2021

პრეზენტაციის შინაარსი

1 ღვინის ბაზრის გლობალური ტენდენციები

2 ღვინის სექტორი საქართველოში

3 ძირითადი საექსპორტო ბაზრები

4 სამიზნე საექსპორტო ბაზრების მომხმარებლის პროფილი

5 სამომავლო ხედვა

ღვინის მოხმარების მსოფლიო ტენდენციები იცვლება, მომხმარებლები სვამენ ნაკლებ, მაგრამ ხარისხიან ღვინოს

ღვინის უმსხვილეს მომხმარებლებში:

- მცირდება ღვინის მოხმარების სიხშირე
- იზრდება საშუალო დახანარჯები ერთ ბოთლ ღვინოზე
- მეტი ყურადღება ექცევა ღვინის შეფუთვასა და ეტიკეტს
- პრიორიტეტული ხდება დაბალალკოჰოლური სასმელების მოხმარება
- იზრდება ორგანული ღვინის პოპულარობა

ღვინის საშუალო მოხმარების სიხშირე თვიურად

	2007	2019
აშშ	10.6	9.1
გერმანია	9.7	7.6
ბრიტანეთი	11.0	9.1
ავსტრალია	11.1	9.5
ჰოლანდია	10.5	8.8

წყარო: Wine Intelligence, Vinitrac Global, 2007 - 2019
შენიშვნა: 1) ღვინის რეგულარული (ვინც თვეში ერთხელ მაინც მიირთმევს ღვინოს) მომხმარებლების გამოკითხვის შედეგები, n=2,000 აშშ-ში, n=1,000 თითოეულ დანარჩენ ქვეყანაში
შენიშვნა: 2) 2008 წლის მონაცემი აშშ-ზე, 2015 წლის მონაცემი ჰოლანდიაზე, 2007 წლის მონაცემები დანარჩენ ქვეყნებზე

საქართველო ღვინის წარმოებით მე-19 ადგილზეა მსოფლიოში

ღვინის წარმოება მსოფლიოში, 2020, მლნ ლიტრი



წყარო: ღვინის საერთაშორისო ორგანიზაცია (OIV)

ღვინის მოხმარება მსოფლიოში, 2020, მლნ ლიტრი



წყარო: ღვინის საერთაშორისო ორგანიზაცია (OIV)

ღვინის მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე, 2019. ლიტრი/წელი

პრეზენტაციის შინაარსი

1 ღვინის ბაზრის გლობალური ტენდენციები

2 ღვინის სექტორი საქართველოში

3 ძირითადი საექსპორტო ბაზრები

4 სამიზნე საექსპორტო ბაზრების მომხმარებლის პროფილი

5 სამომავლო ხედვა

სექტორის ძირითადი შემოსავლის წყარო საექსპორტო ბაზრებია, რაც ზრდის ხარისხიანი ღვინის წარმოების მნიშვნელობას

ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების სექტორის ბრუნვა შემოსავლის წყაროს მიხედვით საქართველოში, მლნ ლარი



წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი

ღვინისა და ყურძნის ხარისხის გასაუმჯობესებლად ბოლო წლებში გატარებული ღონისძიებები:

- საექსპორტოდ განკუთვნილი ღვინის ხარისხის კონტროლი
- ხარისხის კონტროლში საერთაშორისო აუდიტორული კომპანიების ჩართვა
- შაქრის შემცველობის კონტროლი ყურძენში
- კომპანიების მიერ გაზრდილი ინვესტიციები ღვინის ხარისხის გასაუმჯობესებლად და ახალი არომატების მისაღებად

კომპანიების მიერ საკუთარი ვენახების გაშენება ხელს შეუწყობს ყურძნის მოსავლიანობისა და ხარისხის ზრდას საქართველოში

ყურძნის მოსავლიანობა მსოფლიოში, ტონა/ჰა, 2019



წყარო: FAO, გალტ & თაგარტი

ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების სექტორის შემოსავლები პანდემიის მიუხედავად მცირედით 2.1%-ით შემცირდა 2020 წელს...

ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების სექტორის ბრუნვა, მლნ ლარი



წყარო: საქსტატი

ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების სექტორის ბრუნვა საწარმოთა ზომის მიხედვით



წყარო: გალტ ენდ თაგარტი

...რაც ექსპორტის დამსახურება იყო: 2020 წელს ღვინის ექსპორტი მხოლოდ 5.6%-ით შემცირდა, როცა წინა კრიზისის დროს თითქმის განახევრდა

ქართული ღვინის ექსპორტი, მლნ აშშ დოლარი



წლიური ცვლილება	2015/14	2020/19
რუსეთი	-61.1%	-10.3%
დსთ (რუსეთის გარდა)	-41.4%	0.1%
ჩინეთი	85.5%	-29.7%
ახალი სამიზნე ქვეყნები (ჩინეთის გარდა)	-4.7%	24.2%
სხვა ქვეყნები	-11.3%	20.4%
სულ	**-46.9%**	**-5.6%**

წყარო: საქსტატი

2020 წელს ბრენდის ექსპორტი 6.7%-ით გაიზარდა 113მლნ აშშ დოლარამდე, რამაც ასევე ხელი შეუწყო სექტორის შემოსავლების სტაბილურობას 2020 წელს.

წყარო: საქსტატი
შენიშვნა: ახალი სამიზნე ქვეყნები მოიცავს აშშ-ს, დიდ ბრიტანეთს, იაპონიას, გერმანიას, პოლონეთსა და ბალტიისპირეთს

სექტორის მომგებიანობა მაღალია, თუმცა ბოლო წლებში მცირდება; ტოპ-კომპანიები უფრო მაღალ მომგებიანობას ინარჩუნებენ

ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების სექტორის მომგებიანობის მაჩვენებლები



წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი

ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების სექტორის შერჩეული ტოპ-კომპანიების საშუალო შეწონილი მარჟები



წყარო: SARAS, გალტ & თაგარტი

პრეზენტაციის შინაარსი

1 ღვინის ბაზრის გლობალური ტენდენციები

2 ღვინის სექტორი საქართველოში

3 ძირითადი საექსპორტო ბაზრები

4 სამიზნე საექსპორტო ბაზრების მომხმარებლის პროფილი

5 სამომავლო ხედვა

ახალ სამიზნე ბაზრებზე ექსპორტის ზრდის მიუხედავად, რუსეთსა და სხვა პოსტ-საბჭოთა ქვეყნებზე დამოკიდებულება სტაბილურად მაღალია

ქართული ღვინის ექსპორტი, 0.75ლ ბოთლი, მლნ



ქართული ღვინის ექსპორტი, მლნ აშშ დოლარი



წყარო: ღვინის ეროვნული სააგენტო, გალტ & თაგარტი
შენიშვნა: ახალი სამიზნე ქვეყნები მოიცავს აშშ-ს, დიდ ბრიტანეთს, ჩინეთს, იაპონიას, გერმანიას, პოლონეთსა და ბალტიისპირეთს

წყარო: საქსტატი

რუსეთი ღვინის წამყვანი საექსპორტო ბაზარია, თუმცა ყველაზე იაფი

ტოპ-4 ღვინის საშუალო საექსპორტო ფასი საექსპორტო ქვეყნის მიხედვით, 2020, აშშ დოლარი/0.75 ლ ბოთლი



წყარო: ღვინის ეროვნული სააგენტო, გალტ & თაგარტი
შენიშვნა: FCA ფასები

სამიზნე ბაზრებზე პოზიციების გამყარებას 4 ძირითადი ბარიერი უშლის ხელს

ქართული ღვინის დაბალი ცნობადობა

ძლიერი კონკურენცია მსხვილი მწარმოებელი ქვეყნების მხრიდან

(საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი ა.შ)

მარკეტინგთან და ღვინის საცალო ქსელებში განთავსებასთან დაკავშირებული მაღალი ხარჯები

(სახელმწიფოს მიერ ინიცირებული მარკეტინგული ხარჯების სუბსიდირების პროექტი ამ ბარიერს ნაწილობრივ აღმოფხვრის)

წარუმატებლობისა და ინვესტიციების დაკარგვის შიში

ახალი საექსპორტო ბაზრების მოთხოვნები განსხვავდება ტრადიციული ბაზრებისაგან

ღვინის ექსპორტი ღვინის ტიპის მიხედვით, 2020



წყარო: ღვინის ეროვნული სააგენტო

ძირითად საექსპორტო ბაზრებზე გატანილი ტოპ ღვინოები, 2020

ქვეყანა	ღვინის ტიპი	%-ული წილი
რუსეთი	წითელი ნახევრად ტკბილი, წითელი მშრალი	73.6%
დსთ (რუსეთის გარდა)	წითელი ნახევრად ტკბილი, წითელი მშრალი	55.0%
ჩინეთი	წითელი ნახევრად ტკბილი, წითელი მშრალი	88.9%
აშშ	თეთრი მშრალი, წითელი მშრალი	68.4%
იაპონია	თეთრი მშრალი, წითელი მშრალი	84.2%
დიდი ბრიტანეთი	წითელი და თეთრი ნახევრად ტკბილი	51.0%
პოლონეთი	წითელი ნახევრად ტკბილი, ნახევრად მშრალი	57.6%
გერმანია	წითელი მშრალი, წითელი ნახევრად ტკბილი	66.6%
ბალტიისპირეთი	წითელი ნახევრად ტკბილი	58.0%

წყარო: ღვინის ეროვნული სააგენტო

პრეზენტაციის შინაარსი

1 ღვინის ბაზრის გლობალური ტენდენციები

2 ღვინის სექტორი საქართველოში

3 ძირითადი საექსპორტო ბაზრები

4 სამიზნე საექსპორტო ბაზრების მომხმარებლის პროფილი

5 სამომავლო ხედვა

ამერიკელი და ბრიტანელი მომხმარებლის დაინტერესება უნიკალური და პრემიუმ ქართული ღვინით არის შესაძლებელი

ბრიტანეთსა და აშშ-ში ღვინის რეგულარული მომხმარებლების უმრავლესობა ასაკით 55 და მეტი წლისაა და ჩამოყალიბებული პრეფერენციები აქვთ



წყარო: Wine Intelligence გამოკითხვა, n= 3,000 ადამიანს
შენიშვნა: რეგულარული (ყოველთვიური) მომხმარებელი

აშშ-ში ღვინის რეგულარული მომხმარებლების უმრავლესობა (59%) ერთ ბოთლ ღვინოზე 10-20 აშშ დოლარს ხარჯავს, ხოლო ბრიტანეთში (მომხმარებლების 56%) 7-11 აშშ დოლარს, რაც საქართველოდან ექსპორტირებული ღვინის ფასს მნიშვნელოვნად აღემატება

აშშ

მომხმარებლის **59%** ხარჯავს USD 10-20

ბრიტანეთი

მომხმარებლის **56%** ხარჯავს USD 7-11

წყარო: Wine Intelligence გამოკითხვა, n= 7,000 ადამიანს აშშ-ში, 1,000 ადამიანს დიდ ბრიტანეთში

ჩინელი მომხმარებლისთვის მიზანშეწონილია უფრო მასობრივი წარმოების ქართული ღვინის შეთავაზება (მაგ. საფერავი, ალაზნის ველი, ქინძმარაული)

1.5 ლ/წ ღვინის მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე, რაც მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დაბალია

- ღვინის განვითარებადი ბაზარი, სადაც ღვინის სმის კულტურა და გემოვნება ახლა ყალიბდება
- ღვინის სმა ჯანმრთელობასთან ასოცირდება, წითელი ღვინო ყველაზე პოპულარულია
- იმპორტირებული ღვინო მაღალ ხარისხთან ასოცირდება
- ღვინის გემო სხვა მახასიათებლებზე მნიშვნელოვანია (მაგ: ხარისხის სერტიფიკატი ISO, HACCP და სხვ., ბრენდი, მწარმოებელი ქვეყანა და ა.შ)

გერმანელი მომხმარებლისთვის როგორც მასობრივი წარმოების, ისე პრემიუმ ქართული ღვინის შეთავაზებაა მიზანშეწონილი

ღვინის მოხმარების სიხშირე გერმანიაში, 2018/19



- გერმანია ღვინის ტოპ მე-4 მომხმარებელია მსოფლიოში, გერმანელი მომხმარებელი გამოცდილია და კარგად იცნობს ღვინოს
- გერმანიაში ღვინოს ყველაზე ხშირად ქალბატონები მიირთმევენ
- მომხმარებლების უმრავლესობა მშრალ და ნახევრად-მშრალ ღვინოებს ანიჭებს უპირატესობას, თუმცა, ქალები უფრო ხშირად სვამენ შედარებით გავრცელებულ ტკბილ/ნახევრად-ტკბილ ღვინოებს

წყარო: Geisenheim University გამოკითხვა, n=2,063 ადამიანს

პრეზენტაციის შინაარსი

1 ღვინის ბაზრის გლობალური ტენდენციები

2 ღვინის სექტორი საქართველოში

3 ძირითადი საექსპორტო ბაზრები

4 სამიზნე საექსპორტო ბაზრების მომხმარებლის პროფილი

5 სამომავლო ხედვა

ჩვენი მოლოდინები და რეკომენდაციები

- მსოფლიოში ხარისხიანი და ორგანული ღვინის მიმართ ინტერესი კიდევ უფრო გაიზრდება
- მსოფლიო ტრენდის პარალელურად, აუცილებელია მაღალხარისხიანი ღვინის წარმოების ზრდა საქართველოში
- საქართველოში მოსალოდნელია ყურძნის მოსავლიანობისა და ხარისხის ზრდა საშუალოვადიან პერიოდში
- ჩვენი მოლოდინები ექსპორტის ზრდასთან დაკავშირებით პოზიტიურია, 2025 წლისთვის ველოდებით ღვინის ექსპორტის თითქმის გაორმაგებას 350 მლნ აშშ დოლარამდე
- ღვინის საშუალო საექსპორტო ფასის ზრდაც მოსალოდნელია, ხარისხის გაუმჯობესებისა და ახალი ბაზრების ათვისების ხარჯზე
- რუსეთის ბაზარზე დამოკიდებულების შემცირება სექტორის გრძელვადიანი განვითარებისთვის მნიშვნელოვანია
- ახალ საექსპორტო ბაზრებზე პოზიციების გასამყარებლად მნიშვნელოვანია კომპანიების მხრიდან მარკეტინგისა და საცალო ქსელებში პროდუქციის განთავსების დანახარჯების ზრდა

მადლობა ყურადღებისთვის

მეტი ინფორმაციისთვის ესტუმრეთ ვებ-გვერდს www.gt.ge

მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტის" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

Galt & Taggart-ის ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, Galt & Taggart-ის მხრიდან. Galt & Taggart-ი პასუხისმგებლობას არ იღებს ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე. ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და Galt & Taggart-ს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. Galt & Taggart-ის მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ Galt & Taggart-ის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია.

კვლევების დეპარტამენტის უფროსი
ევა ბოჭორიშვილი | evabochorishvili@gt.ge

სექტორული კვლევების განყოფილების უფროსი
ბაჩანა შენგელია | bshengelia@gt.ge

უფროსი ანალიტიკოსი
თათია მამრიკიშვილი| tmamrikishvili@gt.ge

მისამართი: ალექსანდრე პუშკინის ქუჩა 3, თბილისი, 0105, საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: research@gt.ge